საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-02/123

ქ. ბათუმი 30 მაისი, 2022 წ

2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მინიოს, ევორას და ავეიროს უნივერსიტეტებში ბსუ-ს აკადემიური პერსონალის გამოვლენის მიზნით კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №01-06/89 დადგენილებისა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ნანა ყურშუბაძის 2022 წლის 24 მაისის MES 0 22 0000535972 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მინიოს, ევორას და ავეიროს უნივერსიტეტებში ბსუ-ს 1 აკადემიური პერსონალის შერჩევისათვის განისაზღვროს შემდეგი საკონკურსო ვადები:

ა) საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება და შეფასება - 2022 წლის 30 მაისი -10:00 საათზე, საკონკურსო კომისიის მიერ, იმ პირების, რომლების დარეგისტრირდნენ ელექტრონულ პლათფორმაზე https://us02web.zoom.us/j/5529839711?pwd=VHZHMDh5a3dLQnVMTWdKajhsYk4xQT09) და ჩააბარეს ტესტირება/გამოცდა ინგლისურ ენაში (B1/B2) – 2022 წლის 13 მაისამდე.

ბ) გასაუბრება კონკურსანტებთან - 2022 წლის 30 მაისი 15:00 საათი (ჩატარდეს საკონკურსო კომისიასთან, ჩატარების ზუსტი დრო დამატებით ეცნობოს კონკურსანტებს ბსუ-ს ვებგვერდის ან/და მათ მიერ საკონკურსო განაცხადში მითითებულ ტელეფონებზე/ელექტრონულ ფოსტაზე.

გ) ბსუ-ს მხრიდან კონკურსანტთა შეფასების დოკუმენტების გადაგზავნა მიმღებ უნივერსიტეტში - 2022 წლის 31 მაისი.

2. დამტკიცდეს კომისიის ძირითადი შემადგენლობა:

ა) მერაბ ხალვაში - რექტორი (თავმჯდომარე);

ბ) ანზორ ბერიძე -რექტორის მოადგილე (თავმჯდომარის მოადგილე);

გ) თამარ სირაძე -რექტორის მოადგილე ;

დ) ვლადიმერ ღლონტი -- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ე) გიორგი თავამაიშვილი - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი ;

4. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმით კომისიამ დაადგინოს და მიიღოს კონკურსის საორგანიზაციო სხვა გადაწყვეტილებები, რასაც არ ითვალისწინებს წინამდებარე ბრძანება, მაგრამ გამომდინარეობს პარტნიორი უნივერსიტეტების პროექტის მოთხოვნებიდან.

5. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

6. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**